



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

12 სექტემბერი 2013 წელი

ბრძანება №278

**ქ.ოზურგეთში მ.კოსტავას ქუჩაზე
მცხოვრები თენგიზ მექვაბიშვილის საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონებისთვის ნომრის მინიჭების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის, 43-ემუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარებისათვის) სახელწოდების მინიჭების, ნუმერაციისა და მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 16 მაისის №18 დადგენილების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ.ოზურგეთში მ.კოსტავას ქუჩა №119-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში (ს/კ. 26.26.35.003) ბინა №5-ში მცხოვრები თენგიზ მექვაბიშვილის (პასპორტის ნომერი 63№7389475) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (ხელშეკრულება №2-127, 12.08.1999წ. ნოტარიუსი მ.ებრალიძე, სამკვიდრო მოწმობა №130866182 რეგისტრაციის თარიღი 23.08.2013წ.) მიენიჭოს მ. კოსტავას ქ.№115 ბინა №5 (ს/კ.26.26.35.004).

2. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“-ს;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს;

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას;

3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ოზურგეთში კოსტავას ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 4 სექტემბრის №265 ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე